მცირე სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა, ქ. თბილისი ერეკლე II ქუჩა, №11-ში მდებარე შენობაზე განსახორციელებლ სამუშაოებზე

ქ. თბილისი

2017

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ ნაწილში, ერეკლე II –ეს ქუჩაზე.

ერეკლე II-ის ქუჩაზე, ისევე როგორც კალას უბნის ამ მონაკვეთზე, საკმაოდ დიდია კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ შენობათა კონცენტრაცია. მეტიც, აქ თავად ქუჩები წარმოადგენენ კულტურის უძრავ ძეგლს, რომელიც ქალაქის სავიზიტო ბარათად არის ქცეული.



ხედი ერეკლე II-ეს ქუჩაზე

უბანის პოპულარობას, ქუჩათა ავთენტური ქსელი, ურბანული ქსოვილი, ღირებული შენობები და ზოგადად ისტორიული გარემო განაპირობებს, რომელიც მიმზიდველია როგორც ტურისტებისათვის, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც ხელსაყრელი. შესაბამისად ქუჩაზე გამოსულ შენობათა უმრავლესობაში კაფე, რესტორანი ამ მაღაზიაა განთავსებული.

უბანს, ისევე როგორც კონკრეტულ ქუჩას, ორ-სამსართულიანი მიჯრით მდგარი შენობები ეხსნება. ლითონისა თუ ხის შეკიდული აივნები, სადა თუ პროფილირებული შენობის ფასადები, ერთმანეთს ენაცვლება და ქუჩის საერთო მხატვრულ სურათს ქმნის. თუმცა, გარად კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული შენობებისა, გვხვდება XX ს-ის II ნახევრის ნაგებობები, რომელთაც არანაირი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება არ გააჩნია და მხოლოდ მიმდებარედ განთავსებული ნაგებობების ფონს ქმნის. უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო ობიექტიც, სწორედ ასეთი ტიპის შენობას წარმოადგენს.

ამჟამინდელი შენობა, XX ს-ის II ნახევარშია აგებული და არანაირი მხატვრულ-არქიტექტურული გამომსახველობა არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ის საერთო განაშენიანებაში არის ჩართული და ქუჩის საერთო სურათის მართალია არასახარბიელო, მაგრამ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს.



საპროექტო ობიექტი

დამჯდარი პროპორციის ორსართულიანი შენობის დღევანდელი ფასადი, ერეკლეს ქუჩაზე ჩატარებული ბოლოდროინდელი რეკონსტრუქციის შედეგია

(2005წ). სადა, შელესილი ფასადის II სართულზე, ღია თაბაშირის რიკულებიანი ღია აივანია, რომელიც შუშაბანდად არის შემინული. I სართულზე, სუვენირების მაღაზიებია განთავსებული. 2015 წელს შენობაზე ჩატარდა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც ფასადზე ხვეული კიბის გაჩენას გულისხმობდა. (შენობის II სართულზე, ასვლა სადაც საცხოვრებელი ბინა იყო განთავსებული, მიჯრით მდგარი ერეკლე II №11-ში არსებული შენობის სადარბაზოდან იყო შესაძლებელი, რომელიც ასევე მფლობელის საკუთრებას წარმოადგენდა. აღნიშნული შენობა გაიყიდა და შესაბამისად შენობაში ერთადერთი ასასვლელიც დაიკარგა. შესაბამისად აღნიშნული კიბის მოწყობა აუცილებელმა გარემოებებმა შექმნა).





საპროექტო ობიექტი

ამჟამად წარმოდგენილი პროექტი, მანსარდის სართულის მოწყობას გულისხმობს, რაც ვფიქრობთ შესაძლებელია რის საშუალებასაც მომიჯნავედ არსებული შენობების სიმაღლეც იძლევა. გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ✓ მანსარდის სართული არ უნდა სცდებოდეს საპროექტო შენობის მომიჯნავედ არსებულ ნაგებობათა სიმაღლეს;
- ✓ სასურველია მანსარდის სართულის გაჩენით არ დაიკარგოს ქუჩის საერთო ტეხილი სილუეტი;

- ✓ მანსარდის სართული უნდა იყოს მორგებული პროპორციის, რათა დიდიწილად არ შეცვალოს შენობის მასშტაბი.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ შენობა ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში მდებარეობს, რაზეც კანონით განსაზღვრული დაცვის მექანიზმი მოქმედებს.



ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია